საჭიროა თუ არა ქართლ-ში საეპისკ. კათედრა?

როდესაც ჩვენს საზოგადოებაში ხმა გავრცელდა—მცხეთაში საეპისკოპოზოს აარსებენო, „ზაკავკ. რეჩ"-მა დასწერა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეს ხმა უსაფუძვლოა, და იმედი გვაქვს სასულიერო მთავრობა ავტორიტეტულად უარჰყოფს მასო" (№ 35). მართლაც, რამოდენიმე დღის შემდეგ მე გამოვაქვეყნე ექსარხოსის ნალაპარაკევი ამ საგნის შესახებ; გამორკვა, რომ ეგზარხოსს განზრახული ჰქონია გორის ეპისკოპოზი, რომელიც ამ ჟამად თბილისში სცხოვრობს, სამუდამოდ გორში დააბინავოს, ხოლო თბილისში ქართველებისათვის ახალი ეპისკოპოზი დანიშნოს. ეს განმარტება, რომელიც ობიექტიურად, ინტერვიუს სახით, იყო გადმოცემული, ხსენებულ გაზეთს არ მოეწონა და ეგზარხოსის „გამოქომაგება" (защита) უწოდა მას (№ 40), ეხლა „ზაკავკ. რეჩი" პრინციპიალურად ეწინააღმდეგება მესამე ეპისკოპოზის დანიშვნას, თუმცა ამ ეპისკოპოზის დანიშვნა გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ქართლსაც ისე სჭირია ეპისკოპოზი, როგორც კახეთს. ჰეშმარიტად საკვირველია ხსენებულ გაზეთის პოზიცია, იმ გაზეთის, რომელიც ასე მედგრად იცავდა კახეთში საეპისკოპოზო კათედრის აღდგენის იდეიას, რომლისაგან განუწყვეტელი „იერემიადა" ისმოდა კახეთში კათედრის გაუქმების გამო, რომელმაც სწორედ ალავერდის კათედრის აღდგენაზე ააშენა ყოფილ ექსარხოსის, პიტირიმის, სახელი და დიდება ჩვენში. საოცარია ღმერთმანი! კახეთში (სიღნაღისა და თელავის მაზრაში, სადაც 7453 ოთხკ. ვერსის სივრცეზე 133 სამრეველოა) საჭირო ყოფილა ეპისკოპოზი, ქართლში კი (გორისა და ახალქალაქ-ახალციხის მაზრაში, სადაც 10745 ოთხკ. ვერსის სივრცეზე 169 სამრეველოა)—ზედმეტი; ამ ორი თვის წინად საჭირო იყო ჩვენთვის ეპისკოპოზი, დღეს კი ის „არ შეესაბამება ქართველ ერის სულის კვეთებას"; ჰეტრე თუ მოგვცემდა მას, საჭირო იყო, პაველისაგან კი არ გვინდა! სად არის ბ. ბ. „ვერუიუშჩი მირიანინის" (№ 35) და „კენტის" (№ 40) გულუბრყვილო რწმუნება—ჩვენთვის მარტო ალავერდის კათედრა იყო საჭირო და საინტერესოო, ვერავის ვერ ჭდაარწმუნებს. მართლაც და, განა თელავის და სიღნაღის მაზრა უფრო შორს ახლავს თბილისს, ვიდრე გორისა და ახალციხე-ახალქალაქისა? განა კახეთის მკვიდრნი უფრო არიან მოკლებულნი სულიერ სახრდოს, ვიდრე ქართლის? განა კახეთში კათედრის აღდგენით ბაქოს ეპისკოპოზს ჩამოერთვა ალავერდის შესანახი თანხა? განა ალავერდელის აღდგენით ჩვენ დაგვიბრუნდა საყვარელი მწყემსთმთავარი დავითი? განა კახეთის საეპისკოპოზოს აღდგენით ალავერდელს მიენიჭა სრული, განუსაზღვრელი უფლებები? დასასრულ, როდესაც ალავერდელის აღდგენას ვცდილობდით, განა მაშინ არ სდუდა ჩვენში კარდინალური საკითხი: საქართველოს ეკლესიის „კანონიურ უფლებათა" აღდგენისა?? ალავერდის კათედრის აღდგენით ჩვე მივიღეთ, ახალი ხარჯის გამოღებით (იხ. „საქართველო" № 41), ის რაც გვქონდა, ახალ ეპისკოპოზის დანიშვნით, ჩვენ გვეძლევა, სრულიად უსასყიდლოდ, ესე იგი უახალხარჯოთ, ის, რაც არ გვქონია ჯერ. ალავერდელის აღდგენით ჩვენ მოგვეცა ისეთივე უუფლებო ეპისკოპოზი, როგორც ამდენხან გვყვანდა, ახალ ეპისკოპოზის დანიშვნით გორელისა და ალავერდელის უფლებები შესამჩნევად ფართოვდება, ვინაიდგან მათ უმზადებენ იმგვარსავე ინსტრუქციას, როგორიც აქეს ბაქოს ეპისკოპოზს. ამდენან თუ „უსაქმოდ იჯდენ" ჩვენი ეპისკოპოზები, როგორც ამტკიცებს ბ. „კენტი" (№ 40), ეხლა სწორედ იმისთვის აბინავებენ მათ ქართლ-კახეთში, რომ ისაქმონ, სამღვდელოება გამოაღვიძონ, ხალხს უხელმძღვანელონ, მასთან ახლო იცხოვრონ და მისი ჭირ-ვარამი გაიზიარონ. პროვინციებში ეპისკოპოზების გამრავლება, წარსულის თვალსაზრისით, სრულებით ეთანხმება საქართველოს ეკლესიის საეპარქიო სისტემას, რომელიც ყოველ ქალაქისა და დაბისათვის საკუთარ ეპისკოპოზს თხოულობდა. ეხლანდელი მომენტის საზომით თუ შევხედავთ მას, დავინახავთ, რომ უამისოდ შეუძლებელია განხორციელება „სამრეველო რეფორმისა", რომელიც ასე აღელვებს თანამედროვე საზოგადოებას. ხოლო რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის „კანონიურ უფლებათა" აღდგენას, პროვინციაში ეპისკოპოზების გამრავლება არამც თუ არ შეაფერხებს მას, პირიქით—წინ წასწევს, რასაკვირველია, თუ ეპისკოპოზები „უსაქმოდ" ჯდომას არ მოინდომებენ და ხალხს შეაგნებიებენ ამ საკითხის სიდიადეს და მნიშვნელობას. ჩვენზე ნაკლებად არ იცნობენ პროვინციის საჭიროებას სოფლის „ბლაღოჩინები", რომელთაც 18 თებერვლის კრებაზე უღრმესი მადლობა გამოუცხადს ექსარხოსს ასეთ განზრახვისათვის და სთხოვეს, რაც შეიძლება განახორციელოს ის.

უეჭველია, „ზაკავკ. რეჩი" ამ წერილსაც „გამოქომაგებას" უწოდებს, მაგრამ ვარწმუნებ მას, რომ ყველას არ ჩვევია ჰეშმარიტების გადაფუჩეჩება და უარისყოფა ვილაცას „გამოქომაგებისათვის".

დარბაზში ამ საზოგადოების კრება მოხდა. თავმჯდომარეობდა ე. ს. თაყაიშვილი. მოხსენება უნდა წაეკითხა ქართულ პერიოდულ გამოცემების ბიბლიოგრაფიის შესახებ ბ-ნ გ. მამრაძეს, მაგრამ ავათმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა. მოკლე ისტორია აღნიშნულ საქმისა გააცნო დამსწრე საზოგადოებას ე. ს. თაყაიშვილმა. პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, პროფესორ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, შეუდგენია ბიბლიოგრაფია ქართულ პერიოდულ გამოცემათა 1910 წლამდე. ნაწილი ამ შრომისა გამოუცია იმავე წრეს. ხოლო ნაწილი გამოსაცემია. აგრეთვე შესადგენია ბიბლიოგრაფია 1910 წლიდან დღევანდლამდე და დღეის შემდეგაც.

კითხვა აღიძრა შესახებ იმისა, თუ ვინ გამოსცემს უკვე შედგენილ ბიბლიოგრაფიას და აგრეთვე ვინ იკისრებს 1910 წელს აქეთ ბიბლიოგრაფიის შედგენასა.

ამ საკითხის გამოსარკვევად კრებამ საჭიროდ სცნა სთხოვოს საზოგადოების გამგეობას შეეკითხოს პეტროგრადის უნივერსიტეტთან დაწესებულებით შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია საერთოდ ბიბლიოგრაფიის საქმე და რა ნაბიჯის გადადგმას აპირებს იგი შემდეგში. ამასთანავე კრებამ საჭიროდ სცნო, რომ საზოგადოების გამგეობამ მიმართოს პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს,—იქნებ თითონ იკისრონ თავიანთ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შედგენა.

თავმჯდომარემ საუბარი ჩამოადგა იმის შესახებ, რომ პერიოდული გამოცემები უვარგის ქაღალდზე იბეჭდება, რომელიც ძალიან ადრე ცვდება და მომავალში ალარავითარი ნაშთი არ დარჩება ჩვენი ხალხის გონებრივი ნაწარმოებისა. ამ საკითხმა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. კრების უმეტესმა ნაწილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ რადგან ქაღალდი ძვირად ფასობს რედაქციებს ჩვენვე მივაწოდოთ კარგი ქაღალდი ჩვენთვის საჭირო რამდენიმე ცალის დასაბეჭდათო. მაგრამ რადგან პერიოდულ გამოცემათა რამდენიმე ცალი სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისთვისაც საჭიროა და ამ დაწესებულებებმა საერთო კავშირი შეადგინეს, ამიტომ კრებამ საჭიროდ სცნო ამ საქმის მოწესრიგება, ამ კავშირის გამგეობამ იკისროს.